

საგადასახადო დავების პრაქტიკის გზამკვლევი

ყოველთვიური საინფორმაციო ბიულეტენი მომზადებული
PwC საქართველოს საგადასახადო და იურიდიული
დეპარტამენტის მიერ

15 ივლისი 2019
გამოცემა №7



PricewaterhouseCoopers (PwC) საქართველო გთავაზობთ საგადასახადო დავების პრაქტიკას შემოსავლების სამსახურის და ფინანსთა სამინისტროსთან არსებული დავების განხილვის საბჭოს მიერ გამოცემული გადაწყვეტილებების საფუძველზე. ჩვენ მოკლედ მიმოვიხილავთ საკითხის ფაქტობრივ გარემოებებს, დავის მონაწილე მხარეთა არგუმენტებს და დავის განხილველი ორგანოების მიერ მიღებულ შესაბამის გადაწყვეტილებებს. არსებული გამოცემა ატარებს მხოლოდ ზოგად საინფორმაციო ხასიათს არსებულ საკითხებზე და არ წარმოადგენს პროფესიულ რჩევას.

გზამკვლევში წარმოდგენილია ერთი საგადასახადო დავა, რომლის ფარგლებშიც მიმოვიხილავთ შემდეგ საკითხს:

საკითხი 1: უცხოური საწარმოს და მისი ფილიალის ერთ პირად განხილვა.

საკითხი 2: თანამშრომლებზე კვების მიწოდების დღგ-ით დაბეგვრა;

საკითხი 3: კვების მომსახურების დაქირავებულის მიერ მიღებულ სარგებლად განხილვა.

საკითხი 1: უცხოური საწარმოს და მისი ფილიალის ერთ პირად განხილვა

საკითხის ფაქტობრივი გარემოებები

უცხოური საწარმოს ფილიალს (უსფ) გაფორმებული აქვს დედა კომპანიასთან სამშენებლო ტექნიკის იჯარის ხელშეკრულებები, საიჯარო გადასახდელების ყოველთვიური გადახდის პირობით. აღნიშნული ძირითადი საშუალებები შემოყვანილია დროებითი საბაჟო რეჟიმით ფილიალის სახელით. იჯარის თანხები წინასწარ აქვს გადახდილი დედა კომპანიისათვის. ამასთან, დედა კომპანიის მიერ ყოველთვიურად იწერება ინვოისი გაწეულ მომსახურებაზე.

საიჯარო მომსახურებას „ს-ს“ ფილიალი განიხილავს უკუდაბეგვრის დღგ-ით დასაბეგრად და ახორციელებს აღნიშნული უკუდაბეგვრის დღგ-ს ჩათვლას.

საიჯარო გადასახდელებს კომპანია მიიჩნევს ხარჯად და შედეგად იმცირებს დასაბეგრ მოგებას. შემოწმებით, აღნიშნული ტექნიკა ინვოისებისა და

საბაჟო დეკლარაციებში მოცემული სატარიფო ღირებულებების მიხედვით დაანგარიშებული ღირებულებით დასმულ იქნა ფილიალის ბალანსზე და ხარჯში გამოიქვითა ამორტიზაციის გზით. მოგების დეკლარაციაში ამორტიზაციის თანხით შემცირდა დასაბეგრი მოგება. შემცირდა გადახდილი უკუდაბეგვრის დღგ-ც.

აუდიტის დეპარტამენტის პოზიცია

- საგადასახადო კანონმდებლობით უცხოური საწარმოს ფილიალი არ არის განხილული სხვა პირად, არამედ იგი წარმოადგენს მხოლოდ არარეზიდენტის მუდმივ დაწესებულებას, რომლის გამოყენებითაც ეს პირი ნაწილობრივ ან მთლიანად ახორციელებს ეკონომიკურ საქმიანობას საქართველოში.
- სამოქალაქო კოდექსით დადგენილია, რომ ხელშეკრულების დასაბეგად საჭიროა ერთზე მეტი მხარე, რომელიც უსფ „ს-ს“ შემთხვევაში არ არსებობს. შესაბამისად ფილიალსა და დედა კომპანიას შორის ურთიერთობა არ უნდა იქნეს განხილული ხელშეკრულების საფუძველზე მომსახურების გაწევად, რაც საგადასახადო კანონმდებლობით არ წარმოადგენს ხარჯების გაზრდის საფუძველს.
- ფილიალსა და დედა კომპანიას შორის ურთიერთობა არ უნდა იქნეს განხილული ხელშეკრულების საფუძველზე მომსახურების გაწევად, რაც საგადასახადო კანონმდებლობით არ წარმოადგენს დღგ-ით დასაბეგრ ოპერაციას.

კომპანიის პოზიცია

- საქართველოს საგადასახადო კოდექსის მე-8 მუხლის მე-18 პუნქტის თანახმად, პირი არის ფიზიკური ან იურიდიული პირი საქართველოს სამოქალაქო კოდექსის შესაბამისად, საწარმო ან ორგანიზაცია საქართველოს საგადასახადო კოდექსის შესაბამისად“.
- კოდექსის 21-ე მუხლის პირველი ნაწილის „ბ“ პუნქტის თანახმად საწარმოდ ითვლება უცხოური საწარმოს მუდმივი დაწესებულება.
- „საქართველოს მთავრობასა და აზერბაიჯანის რესპუბლიკის მთავრობას შორის ორმაგი დაბეგვრის თავიდან აცილებისა და შემოსავლებზე და ქონებაზე გადასახადების გადაუხდელობის აღკვეთის შესახებ“ კონვენციის მე-5 მუხლის პირველი და მეორე ნაწილების მიხედვით ტერმინი „მუდმივი

წარმომადგენლობა“ ასევე მოიცავს ფილიალს (განყოფილებას).

- საგადასახადო კოდექსის 29-ე მუხლის მე-2 ნაწილის „დ“ ქვეპუნქტის თანახმად, მუდმივ დაწესებულებას მათ შორის უთანაბრდება ფილიალი.
- მოყვანილი საგადასახადო კანონმდებლობის ნორმების მიხედვით: არარეზიდენტის ფილიალი არის არარეზიდენტის მუდმივი წარმომადგენლობა: უცხოური საწარმოს მუდმივი წარმომადგენლობა ითვლება საწარმოდ; ხოლო საწარმო საგადასახადო კანონმდებლობით წარმოადგენს პირს.
- საგადასახადო კოდექსის 21-ე მუხლის პირველი ნაწილის „ბ“ ქვეპუნქტის თანახმად საწარმოდ ითვლება „უცხო ქვეყნის კანონმდებლობის შესაბამისად წარმოქმნილი კორპორაციები, კომპანიები, ფირმები და სხვა მსგავსი წარმონაქმნები, მიუხედავად იმისა, აქვთ თუ არა იურიდიული პირის სტატუსი“.
- ანუ, უცხოური საწარმო და ამ უცხოური საწარმოს მუდმივი დაწესებულება საქართველოს საგადასახადო კანონმდებლობით ორი სხვადასხვა პირია და მათ შორის საქმიანი ურთიერთობები განხილული უნდა იქნეს როგორც სხვადასხვა პირებს/მხარეებს შორის საქმიანი ურთიერთობა.
- დედა კომპანიასა და ფილიალს შორის საიჯარო ურთიერთობები განხილული უნდა იქნას ხელშეკრულების საფუძველზე მომსახურების გაწევად და შესაბამისად უკუდაბეგვრის დღგ-ით დასაბეგრ ოპერაციად და ხარჯში გამოეკვეთოს საინვოისო ღირებულებით და არა ამორტიზაციის გზით.

დავის განმხილველი ორგანოების გადაწყვეტილებები

- შემოსავლების სამსახურმა გაიზიარა აუდიტის დეპარტამენტის პოზიცია და საჩივარი არ დააკმაყოფილა. სამსახურმა მიიჩნია, რომ იჯარაზე გადახდილი თანხები საგადასახადო კანონმდებლობის შესაბამისად არ წარმოადგენს გამოსაქვით ხარჯებს.
- დავა გაგრძელდა ფინანსთა სამინისტროსთან არსებული დავების განხილვის საბჭოში. საბჭოს გადაწყვეტილებით საჩივარი აღნიშნულ ნაწილში არ დაკმაყოფილდა. საბჭომ გაიზიარა შემოსავლების სამსახურის არგუმენტაცია:
- „საქართველოს საგადასახადო კოდექსის მე-16 მუხლის მე-2 ნაწილის თანახმად მომსახურების გაწევად ითვლება პირის მიერ სხვა პირისათვის მისივე ნებით, კომპენსაციის მიზნით ან უსასყიდლოდ ისეთი მოქმედების შესრულება,

რომელიც არ არის საქონლის მიწოდება.

- ამავე კოდექსის მე-8 მუხლის მე-18 ნაწილის თანახმად, პირი არის ფიზიკური პირი ან იურიდიული პირი საქართველოს სამოქალაქო კოდექსის შესაბამისად, საწარმო ან ორგანიზაცია.
- საგადასახადო კოდექსის 66-ე მუხლის მე-3 ნაწილის თანახმად, უცხოური საწარმოს ფილიალის, რომელიც ექვემდებარება მეწარმეთა და არასამეწარმეო (არაკომერციული) იურიდიული პირების რეესტრში რეგისტრაციას, საგადასახადო აღრიცხვაზე აყვანა და საიდენტიფიკაციო ნომრის მინიჭება ხორციელდება საჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტოს მიერ ამ ფილიალის რეგისტრაციასთან ერთად.
- თუ აღნიშნული უცხოური საწარმო იმყოფებოდა საგადასახადო აღრიცხვაზე ფილიალის რეგისტრაციამდე და საგადასახადო ორგანოს მიერ მინიჭებული ჰქონდა საიდენტიფიკაციო ნომერი ან თუ ორი და ორზე მეტი ფილიალი დარეგისტრირდა, პირველად მინიჭებული საიდენტიფიკაციო ნომერი უცვლელი რჩება.
- რადგან მომსახურების გაწევად ითვლება პირის მიერ სხვა პირისათვის ისეთი მოქმედების შესრულება, რომელიც არ არის საქონლის მიწოდება და ამასთან, უცხოური საწარმოს ფილიალი არ წარმოადგენს პირს, შემოწმებით ფილიალის საქმიანობის ნაწილში საგადასახადო ვალდებულებების განსაზღვრა მის მიერ დედა კომპანიასთან გაფორმებული მომსახურების ხელშეკრულების გაუთვალისწინებლად, შესაბამისობაშია მოქმედ კანონმდებლობასთან.

გამოწერილია ფაქტურები და საზოგადოებას მომსახურების ნაწილზე მიღებული აქვს დღგ-ის ჩათვლა.

შემოწმების შედეგად გაიზარდა დღგ-ით დასაბეგრი ბრუნვა და კომპანიის მიმართ განხორციელდა შესაბამისი დარიცხვა.

აუდიტის დეპარტამენტის პოზიცია

- ფილიალის მიერ დაქირავებული თვის გადახდილი კვების თანხა წარმოადგენს სარგებელს, შესაბამისად კვების თანხა დღგ-ის ჩათვლით ითვლება სახელფასო განაცემად (სარგებლად).
- რადგან დღგ-ის თანხა სარგებლის თანხის ნაწილია, დღგ-ში მიღებული ჩათვლაც ექვემდებარება გაუქმებას.

კომპანიის პოზიცია

საგადასახადო კოდექსის თანახმად, დასაბეგრი ოპერაციაა დღგ-ით შეძენილი საქონლის/მომსახურეობის გამოყენება არაეკონომიკური საქმიანობისათვის, თუ ამ საქონელზე/მომსახურეობაზე გადამხდელმა მიიღო დღგ-ის ჩათვლა. ამდენად, თანამშრომლობისათვის უსასყიდლოდ გაწეული მომსახურეობა, რომლის შეძენისას გადახდილი დღგ ფილიალის მიერ არ არის ჩათვლილი არ წარმოადგენს დასაბეგრ ოპერაციას.

დავის განმხილველი ორგანოების გადაწყვეტილებები

შემოსავლების სამსახურმა, აღნიშნულ ნაწილში, საჩივარი ნაწილობრივ დააკმაყოფილა.

- შემოსავლების სამსახურმა მიუთითა საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 96-ე მუხლზე, რომლის თანახმადაც ადმინისტრაციული ორგანო ვალდებულია დავის საქმისათვის ყველა მნიშვნელოვანი გარემოება გამოიკვლიოს და გადაწყვეტილება მათი ურთიერთშეჯერების საფუძველზე მიიღოს.
- აქტის გამოცემას საფუძველად არ დაედოს ისეთი გარემოება, რომელიც კანონით დადგენილი წესით არ არის გამოკვლეული ადმინისტრაციული ორგანოს მიერ.
- გარემოებათა სრული გამოკვლევისთვის საგადასახადო ორგანოთა კომპეტენცია ასევე მოიცავს საქართველოს საგადასახადო კოდექსის 49-ე მუხლით გათვალისწინებულ უფლებამოსილებას „გამოიკვლიონ საწარმოთა, ორგანიზაციათა და მეწარმე ფიზიკურ პირთა საწარმოო, სასაწყობო, სავაჭრო და სხვა

საკითხი 2: თანამშრომლებზე კვების მიწოდების დღგ-ით დაბეგვრა

საკითხის ფაქტობრივი გარემოებები

ფილიალს მშენებლობაზე დაქირავებული მუშებისთვის მიწოდებული აქვს საკვები პროდუქტები, ასევე ქვეკონტრაქტორების მეშვეობით მზა საკვები.

ფილიალმა თანამშრომლებისთვის კვების მიწოდება არ ჩათვალა დღგ-ით დასაბეგრ ოპერაციად და არ გადაიხადა დღგ. ქვეკონტრაქტორების მიერ გაწეული მომსახურების ღირებულება ფილიალს გამოქვითული აქვს ხარჯებში. აღნიშნულ მომსახურებაზე

სათავსები, განახორციელონ საგადასახადო მონიტორინგი, ინვენტარიზაციით აღრიცხოვონ საქონლის მარაგები, ჩაატარონ დაკვირვება ქრონომეტრაჟის ან სხვა მეთოდის გამოყენებით და განსაზღვრონ დასაბეგრი ობიექტების რაოდენობა, ჩაატარონ საგადასახადო შემოწმება, უზრუნველყოფონ გადასახადის გადამხდელის მიერ საკონტროლო-საღარი აპარატების გამოყენების წესების დაცვის კონტროლი და მათი დარღვევის შემთხვევაში, შესაბამისი პირების მიმართ გაატარონ საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი პასუხისმგებლობის ზომები“.

- შემოსავლების სამსახურმა მიუთითა საგადასახადო კოდექსის 174-ე მუხლზეც, რომლის თანახმადაც დღგ-ის ჩასათვლელი თანხა არის დღგ-ის თანხა, რომელიც გადახდილია ან გადასახდელია ჩათვლის დოკუმენტების მიხედვით საქონლის შეძენისას, მომსახურების მიღებისას, საქონლის იმპორტისას ან/და საქონლის დროებითი შემოტანისას, მათ შორის, დღგ-ის რეგისტრაციის ძალაში შესვლის მომენტისათვის არსებულ სასაქონლო-მატერიალური ფასეულობის ნაშთზე.
- დღგ-ის ჩათვლა არ ხორციელდება იმ საგადასახადო ანგარიშ-ფაქტურებით, რომლებიც გადასახადის გადამხდელის (მყიდველის/ჩათვლის მიმღების) მიერ ასახული არ არის შესაბამის ვადაში წარმოდგენილ ერთ-ერთ დეკლარაციაში მაინც.
- სამსახურმა აუდიტის დეპარტამენტს დაავალა გადამხდელის მონაწილეობით შეესწავლა/გაეანალიზებინა სადავო საკითხი და შესაბამისი საფუძვლების არსებობის შემთხვევაში განახორციელებინა დარიცხული თანხების კორექტირება (შემცირება).
- აღნიშნული გადაწყვეტილება ფილიალმა გაასაჩივრა ფინანსთა სამინისტროსთან არსებულ დავების განხილვის საბჭოში, რომელმაც გაიზიარა შემოსავლების სამსახურის არგუმენტაცია საკითხთან მიმართებით.
- საბჭომ ყურადღება გაამახვილა საგადასახადო კოდექსის 161-ე მუხლზე, რომლის თანახმადაც დღგ-ით დასაბეგრი ოპერაციებია დღგ-ით შეძენილი საქონლის/მომსახურების გამოყენება არაეკონომიკური საქმიანობისათვის, თუ ამ საქონელზე/მომსახურებაზე გადამხდელმა მიიღო დღგ-ის ჩათვლა, რომლის დროსაც:
 - დასაბეგრი ოპერაციის თანხა განისაზღვრება

საქონლის/მომსახურების საბაზრო ფასით (გადასახადების, მოსაკრებლებისა და სხვა გადასახდელების ჩათვლით) დღგ-ის გარეშე;

- დასაბეგრი ოპერაციის განხორციელების დროდ ითვლება საქონლის/მომსახურების გამოყენების დაწყების მომენტი;
- საბჭომ მიუთითა, რომ: ვინაიდან მომჩივანი აცხადებს, რომ უსასყიდლოდ გაწეული მომსახურების შეძენისას დღგ-ის ჩათვლა არ განხორციელებულა და შესაბამისად, მომსახურების უსასყიდლო მიწოდება არ უნდა დაბეგრილიყო დღგ-ით და შემოსავლების სამსახურის გადაწყვეტილებით აუდიტის დეპარტამენტს დაევალა გადამხდელის მონაწილეობით შეისწავლოს/გაანალიზოს სადავო საკითხთან დაკავშირებით საჩივარში აღნიშნული არგუმენტები, არ არსებობს აღნიშნულ ნაწილში შემოსავლების სამსახურის ბრძანების გაუქმების საფუძველი.

საკითხი 3: კვების მომსახურების დაქირავებულის მიერ მიღებულ სარგებლად განხილვა.

საკითხის ფაქტობრივი გარემოებები

ფილიალს მშენებლობაზე დაქირავებული მუშებისთვის მიწოდებული აქვს საკვები პროდუქტები, ასევე ქვეკონტრაქტორების მეშვეობით მზა საკვებს.

საწარმომ კვებისთვის დახარჯული თანხები არ მიაკუთვნა დაქირავებული პირების სარგებელს და არ დაბეგრა საშემოსავლო გადასახადით. ქვეკონტრაქტორების მიერ გაწეული მომსახურების ღირებულება ფილიალს გამოქვითული აქვს ხარჯებში. აღნიშნულ მომსახურებაზე გამოწერილია ფაქტურები და საზოგადოებას მომსახურების ნაწილზე მიღებული აქვს დღგ-ის ჩათვლა.

აუდიტის დეპარტამენტის პოზიცია

ფილიალის მიერ დაქირავებულისთვის კვებისთვის გადახდილი თანხა წარმოადგენს სარგებელს, შესაბამისად კვების თანხა დღგ-ის ჩათვლით ითვლება სახელფასო განაცემად (სარგებლად), რის გამოც გაიზარდა საშემოსავლო გადასახადით დასაბეგრი ბაზა.

კომპანიის პოზიცია

- მუშებს მძიმე შორმა (რკინიგზის მშენებლობა) უწევთ სავსე პირობებში, ფაქტობრივად უკაცრიელ, ტრიალ ტერიტორიაზე: მუშაობენ მშენებარე რკინიგზის სხვადასხვა უბანზე, რომლებიც ერთმანეთისგან 5-10 კილომეტრითაა დაშორებული.
- მუშებს ღამისთევა უწევთ ადგილზე - მათთვის ხელმისაწვდომი არაა ელემენტარული საყოფაცხოვრებო პირობები.
- შეუძლებელია დამოუკიდებელად საკვებზე წვდომა იმ მარტივი მიზეზით, რომ სავსე, უკაცრიელი პირობებია და კვების ობიექტი არ არსებობს; საცხოვრებელი სახლიდან დიდი მანძილით მოშორების გამო, საკვების „სახლიდან წამოღებაც“ ვერ ხერხდება (მუშები ადგილზე ათევენ ღამეს).
- აღნიშნულ პირობებში შრომის კოდექსის 35-ე მუხლის მოთხოვნების გათვალისწინებით, დამსაქმებელი ვალდებულია უზრუნველყოს დასაქმებული (მუშები) სიცოცხლისა და ჯანმრთელობის უსაფრთხო სამუშაო გარემოთი, რომლის ერთ-ერთი ფუნდამენტური შემადგენელი სწორედ კვებაა.
- ზემოთხსენებულ სამუშაო პირობებში კვება საწარმოს ინტერესებიდან გამომდინარე, უშუალოდ შემოსავლის მიღებასთანაა დაკავშირებული.
- მუშების კვება მათი სარგებელი კი არა, ფიზიკურად შრომის უნარის აღდგენისა და საწარმოო საქმიანობის შესრულების აუცილებელი პირობაა, ანუ შემოსავლების მიღებასთან დაკავშირებული ხარჯია და მეტი არაფერი.
- სავსე პირობებში რკინიგზის მშენებლობისას მუშების კვება, დამსაქმებლის ეკონომიკურ საქმიანობასთან/შემოსავლის მიღებასთან დაკავშირებული ხარჯია და მისი განხილვა მუშების სარგებლად არამართებულია.

დავის განხილველი ორგანოების გადაწყვეტილებები

- შემოსავლების სამსახურმა მიუთითა საგადასახადო კოდექსის მე-16 მუხლზე, რომლის თანახმადაც საქონლის მიწოდებად ითვლება პირის მიერ სხვა პირისათვის საქონელზე საკუთრების უფლების გადაცემა სასყიდლით (მათ შორის, საქონლის

რეალიზაცია, გაცვლა, ხელფასის ან ნატურალური ფორმით ანაზღაურება) ან უსასყიდლოდ.

- სამსახურმა ასევე მიუთითა სსკ-ის 102-ე მუხლის მე-2 ნაწილზე, რომლის თანახმადაც მიხედვით საქონლის/მომსახურების უსასყიდლოდ მიწოდებისას ერთობლივ შემოსავალში ასახვას ექვემდებარება ამ საქონლის/მომსახურების საბაზრო ფასი.
- აღნიშნა სსკ-ის 101-ე მუხლის პირველი ნაწილიც, რომლის თანახმად ხელფასის სახით მიღებულ შემოსავლებს განეკუთვნება ფიზიკური პირის მიერ დაქირავებით მუშაობის შედეგად მიღებული ნებისმიერი საზღაური ან სარგებელი, მათ შორის, წინა სამუშაო ადგილიდან პენსიის ან სხვა სახით მიღებული შემოსავალი, ან შემოსავალი მომავალი სამუშაო ადგილიდან.
- შემოსავლების სამსახურმა ჩათვალა, რომ საწარმოს მიერ დაქირავებული პირებისათვის მუშების კვება არ წარმოადგენს თანამშრომლის სარგებელს, რადგან აღნიშნული მომსახურების გაწევა გამომდინარეობს საწარმოს ბიზნეს საქმიანობიდან და სამუშაო პირობების შესრულების აუცილებელ პირობას წარმოადგენს.
- აუდიტის დეპარტამენტს დაევალა მუშების კვების სარგებლად განხილვის საფუძველით დარიცხული თანხები დაუქვემდებაროს შემცირებას.
- აღნიშნული გადაწყვეტილება კომპანიამ გაასაჩივრა ფინანსთა სამინისტროსთან არსებულ დავების განხილვის საბჭოში.
- საბჭომ გაიზიარა შემოსავლების სამსახურის არგუმენტაცია და მიუთითა შემოსავლების სამსახურის გადაწყვეტილებაზე, რომლის თანახმადაც მუშების კვება არ ჩაითვალა თანამშრომლის სარგებლად და აუდიტის დეპარტამენტს დაევალა დარიცხული თანხების შემცირება.
- შედეგად, ფინანსთა სამინისტროს დავების განხილვის საბჭომ მიუთითა, რომ არ არსებობდა შემოსავლების სამსახურის გადაწყვეტილების ამ ნაწილში გაუქმების საფუძველი.

წყარო: საქართველოს ფინანსთა სამინისტროსთან არსებული დავების განხილვის საბჭოს 2019 წლის 3 აპრილის გადაწყვეტილება #1748/2/2016

PwC საქართველო კლიენტებს სთავაზობს ინტეგრირებულ აუდიტორულ, საგადასახადო, იურიდიულ და საკონსულტაციო მომსახურებებს. PwC-ის ქსელი მსოფლიოს მასშტაბით შედგება 255,000 პროფესიონალისგან, რომლებიც დასაქმებული არიან 158 ქვეყნის 756 ოფისში.

ჩვენ გთავაზობთ ეფექტურ, ინოვაციურ და პრაქტიკულ საგადასახადო კონსულტაციას, რომელიც მორგებული იქნება თქვენს კონკრეტულ ბიზნეს საჭიროებებზე. საქართველოს საგადასახადო კანონმდებლობის ჩვენი ცოდნის გამოყენებით, ჩვენ შეგვიძლია გადავჭრათ თქვენი პრობლემები და შევითანოთ სიცხადე დაბეგვრის საკითხებთან დაკავშირებით.

PwC საქართველო საგადასახადო მომსახურების ფარგლებში კლიენტებს სთავაზობს საგადასახადო საკონსულტაციო მომსახურებას, სატრანსფერო ფასწარმოქმნის მოთხოვნებთან შესაბამისობის შემოწმებას, საგადასახადო დავებში წარმომადგენლობას, საერთაშორისო დაბეგვრის საკითხებთან მიმართებით კონსულტაციებს, საგადასახადო სტრუქტურირებას და სხვა.

PwC საქართველოს საგადასახადო დავების გადაწყვეტის პრაქტიკა შედგება საერთაშორისო და საქართველოს საგადასახადო კანონმდებლობის წამყვანი სპეციალისტებისგან გამოცდილი როგორც ფინანსთა სამინისტროს სისტემის ფარგლებში საგადასახადო დავების გადაწყვეტაში ასევე სასამართლო პროცესებში. ჩვენ მზად ვართ დავებმართოთ კომპანიებს, როგორც საგადასახადო შემოწმების ყველა ეტაპზე, ასევე გასაჩივრების სტადიაზე, რომელიც მოიცავს:

- საგადასახადო რისკების აღმოჩენა და საგადასახადო შემოწმებისთვის მომზადება;
- მხარდაჭერა საგადასახადო შემოწმების დროს;
- საგადასახადო შემოწმების შედეგების გასაჩივრება;
- საგადასახადო ზედმეტობის დაბრუნებაში დახმარება.

ჩვენ მოხარული ვიქნებით მოგაწოდოთ დამატებითი ინფორმაცია თუ რა გავლენა შეიძლება ჰქონდეს მითითებულ დავების გადაწყვეტილებებს თქვენს ბიზნესზე



სერგი კობახიძე

პარტნიორი, საგადასახადო და იურიდიული პრაქტიკა

ტელ: (+99532) 250 80 50

ელ. ფოსტა: serge.kobakhidze@pwc.com



გიორგი ჭანტურიძე

უფროსი საგადასახადო მენეჯერი

ტელ.: (+995 32) 250 80 50

ელ.ფოსტა: george.chanturidze@pwc.com



ლადო ჭაბაშვილი

საგადასახადო მენეჯერი

ტელ: (+995 32) 250 80 50

ელ. ფოსტა: lado.chabashvili@pwc.com



თორნიკე წიკლაური

უფროსი საგადასახადო კონსულტანტი

ტელ.: (+995 32) 250 80 50

ელ.ფოსტა: tornike.tsiklauri@pwc.com

PwC-ში, ჩვენი მიზანია რომ შევექნათ სანდოობა საზოგადოებაში და გადავჭრათ მნიშვნელოვანი საკითხები. ჩვენ ვართ კომპანიათა ქსელი, რომელიც წარმოდგენილია 158 ქვეყანაში 255,000-ზე მეტი პროფესიონალით, რომლებიც მოწოდებული არიან, რომ შეიტანონ ხარისხი აუდიტორულ, საკონსულტაციო და საგადასახადო მომსახურებაში. შეიტყვეთ უფრო მეტი შემდეგ საიტზე www.pwc.com და გვაცნობეთ თუ რა არის თქვენთვის მნიშვნელოვანი. PwC გულისხმობს წევრ კომპანიას საქართველოში, რომელიც წარმოადგენს ცალკე იურიდიულ პირს. მეტი დეტალი ჩვენი სტრუქტურის შესახებ შეგიძლიათ შეიტყოთ შემდეგ მისამართზე www.pwc.com/structure.

© 2019 შპს ფრაისუოთერჰაუსკუპერს საქართველო. ყველა უფლება დაცულია.

